Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის (ჰაბის) 2019 წლის წლიური ანგარიში

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის (ჰაბის)“ 2019 წელს განხორციელებული პროექტების თაობაზე ანგარიშს.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი, დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ევროპის აკადემიისა (Academia Europaea) და თსუ-ს ერთობლივი ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 24 აპრილს გაიხსნა. ცენტრი „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს წარმოადგენს და რიგით მეხუთე ჰაბია ესპანეთის, ინგლისის, ნორვეგიისა და პოლონეთის ჰაბების შემდეგ. თბილისის რეგიონული ცენტრის დაფუძნების თაობაზე თსუ-სა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა სირდ ქლოთინგმა მოაწერეს. გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინე აბულაძე, თსუ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თსუ-სა და ევროპის აკადემიას შორის თანამშრომლობა არის ნიშანი აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოებებისთვის, გააფართოვონ ევროპის აკადემიური საზოგადოების როლი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში და განავითარონ ევროპული კვლევითი სივრცე.

ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 25-26 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც სამ თემატურ სესიას მოიცავდა:

1. კვლევის პოლიტიკა და თანამშრომლობა;
2. მრავალფეროვნება, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ხედვა, პრიორიტეტები და სამუშაო გეგმა;
3. მეცნიერების ისტორია, ევროპის აკადემიის მიღწევები, მისია და სამომავლო გეგმები.

სამუშაო შეხვედრა გახსნეს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიურმა დირექტორმა დავით პრანგიშვილმა, ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა სირდ ქლოთინგმა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა. ხოლო მოხსენებები წაიკითხეს ევროპის აკადემიის წევრებმა: პროფესომა გიორგი შარვაშიძემ, პროფ. ზაალ კოკაიამ, პროფ. ევა კონდოროსიმ, პროფ. ოლე პეტერსონმა, პროფ. რიკარდ გერერომ და სხვებმა.

აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაზე განისაზღვრა თბილისის ჰაბისა და ევროპის აკადემიის დანარჩენ ჰაბებს შორის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები და მიმართულებები.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით დაარსდა გამორჩეული სემინარების სერია „გზაჯვარედინები“. ამ სერიის ფარგლებში ცნობილი მეცნიერები ფართო საზოგადოებას წარმოუდგენენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციებს მათი დარგის საკვანძო საკითხების შესახებ. სემინარების მიზნების მისაღწევად არსებითად მნიშვნელოვანია განსახილველი თემებისა და მიდგომების მრავალფეროვნება. ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ გამორჩეული მომხსენებლები შეირჩევიან სამეცნიერო საზოგადოებაზე მათი კვლევის გავლენის შეფასების კრიტერიუმით.

სერიის ფარგლებში პირველი სემინარი მიეძღვნა „შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ სკოლას ევროპულ სივრცეში“, რომელიც გაიმართა 20 ივნისს თსუ-ში. სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს: პროფ. ლევან გიგინეიშვილმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) – „იოანე პეტრიწის პლატონური თეოლოგია და ინტელექტუალური ცხოვრება ბიზანტიაში“და პროფ. ბენედეკ ზიგმუნდმა (ეტვოშ ლორანდის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი) – „ქართველოლოგიის საერთაშორისო მნიშვნელობა“; წამყვანი - პროფ. დავით ფრანგიშვილი.

24 ივნისს, ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის ორგანიზებით, გამორჩეული სემინარების სერიის - „გზაჯვარედინების“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მორიგი სემინარი სახელწოდებით: „ლიტერატურული ფორმების მრავალფეროვნება“. სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს პროფ. ანა ხარანაულმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და პროფ. მაიკლ სტოუნმა (იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი). სემინარი მიეძღნა ბიბლიური ტექსტების ლიტერატურული ფორმების მრავალფეროვნებას. სომხური აპოკრიფული და ფსევდოეპიგრაფიკული ტექსტების მაგალითზე იგი აჩვენებს, თუ როგორ ხდება ზოგადი ტენდენციების განვითარება ლოკალურ ტრადიციებში და როგორ ირეკლავს ეს პროცესი ნაციონალური კულტურის ხასიათს.

სემინარმა საფუძველი ჩაუყარა რეგულარული, ფართო აუდიტორიისათვის გამიზნულ მოხსენებების ტრადიციას ქრისტიანული აღმოსავლეთის შესახებ. სემინარის ფარგლებში ქართველ მეცნიერებთან ერთად აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ უცხოელი სწავლულები, რომელთა მონაწილეობამ გააფართოვა სემინარების თემატიკა და ხელი შეუწყო საერთაშორისო სამეცნიერო თანამშომლობას.

22 სექტემბერს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის თანაორგანიზატორობით „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019-ის“ ფარგლებში, საერთაშორისო კონფერენცია „მიკრობები და მათი ვირუსები: ეკოლოგია, მრავალფეროვნება, გამოყენება“ გაიხსნა. კონფერენციამ 27 სექტემბრამდე გასტანა და მას გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტმა უმასპინძლა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოს 19 ქვეყნიდან (აშშ, ავსტრალია, ბულგარეთი, ბელგია, გერმანია, თურქეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, ნორვეგია, საქართველო, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, ჩინეთი), სულ 100-ზე მეტი მონაწილე. გახსნის დღეს შედგა საჯარო ლექცია: „მიკრობული კულტურა, როგორც ადამიანის კულტურის ნაწილი“ (ჰარალდ ბრუსოვი - ლოვენის უნივერსიტეტი (ლოვენი, ბელგია)).

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, 26-28 სექტემბერს, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მთავარ თემად განისაზღვრა ნეიროფიზიოლოგიის საკითხები. კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილ მეცნიერს, ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტროფიზიოლოგიური კვლევების ერთ-ერთი პიონერის - ალექსანდრე როიტბაქის ხსოვნას. 1989 წლის შემდეგ ნევრალგიის ფიზიოლოგია გახდა თანამედროვე ნეირომეცნიერების წამყვანი დარგი. კონფერენციაში „ნეიროგლიის ფუნქციები“ მონაწილეობა მიიღეს დარგის ექსპერტებმა და ახალგაზრდა მეცნიერებმა მსოფლიო მასშტაბით.

2019 წლის 28 დეკემბერს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლობამ შეაჯამა გაწეული საქმიანობის ანგარიში. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს და თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. ანგარიშის წარდგენის გარდა, შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე.